

გაზეთის ფასი:

ბაგუნით ტფილისში	ბაგუნით ტფილისში	6 მან.
და გარეშე ადგილებში:	ბაგუნით ტფილისში	50 კ.
ქრთის წლისა — 7 მან.	ბაგუნით ტფილისში	2 —
ნახევრის წლისა — 4 —	ბაგუნით ტფილისში	2 —
სამის თვისა — 2 — 50 კ.	ბაგუნით ტფილისში	2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მედიკო-ფილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბეჭდვათა ბიუროს სახლში.
თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი მანქანადაც სხვა და სხვა ენებზე. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

განცხადება.

„დროების“ ხელის მომწერთა, რომელთაც აქამდის ამ წლის ფული არ შემოუტანიათ, უმორჩილესად ესთხოვთ, რომ შემოიტანონ და რომელთაც სრულათ არ მოუტიათ, იმათაც აგრეთვე ესთხოვთ შეეხონ წლის ფასი „დროებისა“.

შინაარსი: რამდენიმე წენიშენა ერთის უდროოთ გათხოვილის ქალისა. — პოლიტიკა: — მსაღვთი. — აკუსტია. იტალია: — ამერიკა. — სერბიის რევოლუცია. — ტელეგრაფები. — რამდენიმე სიტყვა საქართველოზე. — მლადილე მიკევიჩი. — სხვა და სხვა ამბები. — მარგმნილი სათარგმნელათ. — სახაზინო განცხადებანი.

რამდენიმე წენიშენა ერთის უდროოთ გათხოვილის ქალისა.

ჩემი გათხოვება ძლიერ მახსოვს. მაშინ, თორმეტი წლისა არ ვიყავი. რაღა თქმა უნდა, მე ვინ ვიქთხავდა: „მოგწონს წენი საქმრო თუ არა?“ ძიღვევც რომ ეკითხათ ჩემი აზრი ან კი რა უნდა მეთქო თორმეტის წლის ბავშვსა: „იმისთანა კაცზედ, რომელიც ერთხელ მეტად არ მენახა და ისიც მაშინ ენახე, როცა ჯვარის დწერაზედ მოიყვანეს. უწინდელს დროებაშიდ კიარა. ეხლაც ძალიან საქმაო საქმეა, თუ სიძე კარგი ოჯახის შეილია, ამასთან თუ თვალ ტანადაც კარგია, მაშინ რომელი ქალი გაბედეს იმის დწუნებას! (თუ კი ჰკითხეს ქალს თავისი აზრი; მაგრამ ეს ათასში ერთხელ მოხდეს იქნება. ღედ-მამას თავისს შეიღხედ ისეთი უფლება აქვს, როგორც ერთს რამე ნიეთზედა.)

შუა, გონება, ხასიათი, პატიოსნება და სხვა კარგი ღირსებაები, რაც კაცში კი უნდა იყოს, უთუოდ, იმის გამოკვლევაში ვინ შეიღის! მსენი, ჩვენის აზრით არ არის მიუცილებელი საქორება კაცისათვის. მღონდ კი, საქმელი და სასმელი ბლომათ ჰქონდეს და ღიღის კაცის ოჯახის შეილი იყოს, მაშინ არა ვითარი დამარკოლებელი მიზეზი არ იქნება, იმისი ქალის მიცემისა. სწორეთ, მეც ამ ნაირათ გამათხოვეს. ჯვარის დწერის მეორე დღეს, საწყალობა მამაჩემმა ბევრი რამე ცუდი ხასიათი შენიშნა ახალს სიძეს, მაგრამ რაღა დროსი იყო!

პირველ დამეს. მე მალე დამიხინებოდა. შუა ღამისას გამოემეღისა, ენახე, ქმარი აღარსად იყო; შემეშინდა და გამდღელს დაუძახე: „რა იქნა, ხომ არაფერი დამართია მეთქი?“ — მაშინვე სანთლები აანთეს და დაუწყეს ძებნა; სულ ეზო შემოიარეს, მაგრამ მონახვას არა გაეწყო რა. უკანასკნელად, ვიღაცამ სთქვა: „მავო, საფარეშოში არ იყოლსო?“ წავიდნენ და ნახეს, მართლაც, მოსამსახურეებს შუა ღიღის სიტკობებით სძინავდა. შევლას იქ მყოფთ ღიღათ გაუკვირდათ ამ ნაირი საქციელი. მე უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან ღამაში ქალი ვიყავი. აი, როგორი სიყვარული ჰქონდა პირველი ღიღან ჩემზედ ქმარსა!

რამდენიმე ხნის მერმე, ახალს ოჯახში წამიყვანეს. რა საკვირველია, ღიღს ღიღის და ქორწილს გარდაიხიღნენ. ამ სახით

შევიქენი მე ღიღის ოჯახის რძალი და ქალბატონი, მაგრამ ვაი ჩემს ღღეს! რამდენი სატანჯველო და უსიამოვნება გამოვიარე ამ ღიღისების სამაგიეროთ! ჩემს ქმარს სახლში ვინ ნახვიდა! იშვითად თუ შინ იქნებოდა, მაშინ ღიღისს ეწეოდა და მე არცეი მოვარგოდებოდა; ვიყავი ჩემთვის ერთს ბნელ ოთახში. ღედამითიღცა მყივდა, მაგრამ, კუთის სწავლების და ნუგეშის მაგიერად, შეწუხების მეტი მისგან არა მახსოვს რა. მე, ყმაწვილს ქალს, რომელსაც სიყვარულის დრომ მომიწვია და გონებაზედაც მოვედი, როგორ ჰფიქრობთ, ჩემი ქმარი როგორ მექცეოდა? აბა მე გეტყვი: თავის მაგიერად სხვა ქალებთან სააშოყო ღექსებს და ბარათებს მე მაწერიებდა.

ჩვენს ოჯახში ბევრი ხალხი დადიოდა. რადგანაც ყმაწვილი ქალი ვიყავი, მასთან ღამაშიც და ცოცხდნენ, რომ არც ქმარს უყვარდი; ვინც მოვიდოდა, ყველა ამიყობას დამიწყებდა. ჰფიქრობდნენ: „შატრონო, რამ არის და რათ არ ვისარგებლოთ შემთხვევითაო.“ მე, თუმცა სხვა სწავლა არა მქონდა რა, მაგრამ ყმაწვილობიდან ის მქონდა გულში ჩანერგული, რომ „ქმრის ღალატი კაცს წასწყემდესო და ღიღი ბოროტებაც არისო.“ ამ სწავლას მე მტკიცედ ვადექი. მართც ეს უნდა ვესთქვა: რომ ჩემის სიყვარულის ღიღისი არც ერთი ჩემი ამიყთაგანი არ ჰყოფილა. ან სულელი იყო, ან უზრდელი და ან ღიღი ბოროტის მოქმედი კაცი. მრთი ჩემი ამიყთაგანი იმისთანა არტისტი იყო კაცის მოწამოაზედ, რომ, ერთხელ წიგნი მომწერა და ჩემის ქმრის მოწამოღეს შემპირდა, თუ მერმე მას შევირთავდი.

ამ ნაირს სიამოვნებაში განეატარე ჩემი სიციცხლე. არ ვრაცს საქიროდ დაწვდილებით ვსთქვა ყოველი ჩემი მწუხარება და განსაცდელი, რაც მე ქმრისგან და ნათესაისგან მომდგომია, ამისთვის რომ იმაღ ურიგო ბრძანებას ვერ ავასრულებდი. მართლა რომა ვსთქვა, ჩემი ცხოვრება ღიღი საინტერესო და სამწუხარო რამ არის.

მსლა გაიგონეთ, თქვენ-მშობლებო, რომელთაც შეიღები გაყვარათ: ხომ ჰხედავთ, როგორი ბოლო მოჰყვება ამ ნაირათ ქალის გათხოვებას, როგორც მე გამათხოვეს. მს არ იფიქროთ, რომ მე მართლც ვიყო იმისი მაგალითი. მრთ ნაირი მიზეზისაგან, ბოლოც ერთ ნაირი იქნება. მს ჰქმარიტი საქმეა. მაფიცებთ, ჩემს დეტანჯულად გატარებულ სიყმაწვილეც და თქვენი შეიღების სიყვარულს, ნუ მისდევთ იმ ძველ ბარბაროსებრიე ჩვეულებას: ნუ გაათხოვებთ ქალს, სანამ მას თითონ არ შეეძლოს ქმრის ამორჩევა! მრთიც ესა: თქვენ რომ ურჩევთ ქალს საქმროს ეისთვის გინდათ ის კაცი? მთუ თქვენის ქალისთვის ჰქმარიტი, რომ ადამიანს თავისი სიციცხლის ამსანავი იმის თანხმობით უნდა, რომ იყოს ამორჩეული. მთუ რომ ამ მოკლე შე-

ნიშვნება იხსნა რამდენიმე მსხვერპლი იმნარი ბედისაგან, როგორც მე გამომიღია, მაშინ დაჯილდოებული ვიქნები წასრულის ჩემის მწუხარებისათვის. ღმერთმან ჰქნას, მშობლებო, გააღათ თქვენი მშობლური გული და ანგარიშით ცხლის შერფეს და ქალის გათხოვებას თაეი დაანებოთ!

უდროოთ გათხოვილი ქალი.
1862 წ.

კოლიტიკა.

ოსმაღვთი.

უკანასკნელი ამბავი ძან დიღდგან. იენისის 22-ს ირაკლიონიღგან გეცნობებენ, რომ იქამა მუსულმანებმა ვ იენისის თაეიანთ მთავრობის ნება დართეთ შეადგინეს თაეისუფალი ეოლორტერების რაზმი, რომელსაც სახელად ზურიდ აჰქვიან; ეს რაზმი შესდგება ორისათასი კაცისაგან და აზრათ ისა აქეთ, რომ ავაზაკურად დაეცნენ ხოლმე პადიადის ნაზრას და ამით იმის დამეიდებულ მცხოვრებლებს (კანდილებს) ცარციეთა და მველელობით მაგიერი გადაუხადონ, რადგანაც უკანასკნელს დროს ოსმაღვთის ჯარები დამარცხდნენ მათგან. ავაზაკები შეცივიდნენ ექს თუ შეიღ სოფელში, გაცარციეს სრულებით, წასახეს საქონელი და რაც რამ წასაღები იყო ყველაფერი ვაზიდეს. ას კაცამდის მოკლეს (ორიეე სქესისა), ისეე ირაკლიონში დაბრუნდნენ და რაც რამ დაეღა წამოიღეს სულ ერთიანათ იქ გაყიდეს მთავრობის მოურიდებლათ. 4-ს იენისის ისეე რაზმი ხელმეორეთ დაეცა სოფელ პადიოს და მიღამო ალაგებს. ამბობენ, რომ ამ ავაზაკური მოქმედების მსხვერპლად შეიქმნენ ორას კაცამდისინ. ძან დიღის გენერალ-გუბერნატორი წავიდა ირაკლიონს; ვითომც იმ განზრახვით რომ მოახდინოს ამ საქმეზედ სასტიკი გამოძიება და დასაჯოს ბრალეულნი, მაგრამ თუ მართალი გინდათ იმისთვის უფრო რომ შესუსტოს როგორმე იმ ურიგოებისაგან მომხდარი შთაბეჭდილება და ქვეყანას თვალები აუხვიოს, მაგრამ ძან დიღაში მყოფი ელჩი საჩქაროდ ვაეშურა ირაკლიონს და მოხსენებულ ბარბაროსობაზე მოკრფილ ცნობებისაგან სცნა, ვინ იყო ამ ავაზაკურ მოქმედების ნამდვილი მიზეზი.

ამსტრინა 17 იენისის. პეშტიდამ იწერებინ შენის ვაზეთში Presse-ში: „თავადმა ალექსანდრე შარა ბიორგევიჩმა იმის თაობაზე, რომ გულშინ ბელგრადის სამსჯავროში მოუწოდეს ისა, გამოაცხადა, რომ იმ დროდგან რაკიტატი წავრთო მრავალჯერ სთხოვა სერბიის მმართველობას პასპორტები ისეე სერბიაში მისასვლელად; ამ გვარი პასპორტები იმას არც ერთხელ არ მისცეს; ამის გამო ის სერბასთან არა ვითარ კავშირის მქონედ არა რაცხავს თავის თაესა და ამიტომ ბელგრადის სამჯავროს მოთხოვნიღებასაც არ აღასრულებს. მაინც თავადი ალექსანდრე ითხოვს, რომ მას ვადა მისცენ მოსაფიქრებლად დღევანდელი დღის ათ საათამდისინ.
იტალია. როკა-დი-პოლონანსთ რომ ბანა-

კია, იმ ალაგას ნიაღერებმა ძალიან მოუხშირეს. ძალიან მრავალი ხდებიან ავად. მუნებური სალდათები კი უფრო სალათ არიან. ლეგონის სალდათები და უცხო ქვეყნელი მსროლელები ძალიან დრტინავენ. ისინი გულგრილად იხმენენ თაეიანთი უფროსებისაგან პატრონულ დარიგებას; იმათ შესაქცევრათ, უფროსები, ხაკრავებს აკრევიენებენ და კიღვე სხვა შესაქცევ თამაშობას ჰმართვენ. ზაქციულების რიცხვი თან და თან მრავალღება — ამერიკის საწყალობელი ბატალიონი ჯერ არ შემდგარა და ვინ იცის შესგება როდისმე! ამ ბატალიონის შესადგენელად ამერიკას წავიდა გენერალი ტაფისი და აქამდის არ იცია რა იქნადა რა ვაარიგა.

ამშრინა. ძონგრესში (ზანგების) ნეგრების მიღებაზე. მირგინიაში ღამაპარკია იმაზედ, შეიძლება და დროა, რომ საკაეშირო კონგრესში შავი კანიანი დეპუტატი ვაიგზანდეს. ამის თაობაზე ერთმა ნორფოლკის მოქალაქემ ჰკითხა სენატორს სომნერს, რომელმაც პასუხი მისცა შემდეგის წერილით: „მოწყალეო ხელმწიფეე! მე მივიღე თქვენი წერილი ამ თვის 18-ს იმ თაობაზედ; შეიძლება თუ არა ძონგრესში მიიღონ შავ კანიანი დეპუტატი. მე არა ვხედავ არა ვითარ მიზეზს, რომელიც ამ გვარ არჩევას ეწინააღმდეგებოდეს; მაინც (რაც უნდა იყოს) ჰქმარიტს კმაყოფილებას ვიგონებოდი, რომ რომელიმე კონგრესის პალატისთვის აარჩიონ განათლებული შავ კანიანი დეპუტატი; რადგან ეს შემთხვევა შეადგენს ორიეე ტომთა უფლების სრულებითს ვათანასწორებას. მაინც ეს ვათანასწორება არ მოხდება, ჩვენი წარმატება არ იქნება სრული“. მაშინ გტონი 22 იენისის. ჰეშმარიტის პატივის ცემით და სხე. ძარლე სომნერი.

მრთს ამერიკელ ვაზეთში ამ წერილის თაობაზე სწერენ: „ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით ზანგების უფლებას, რომ იმათ ამოარჩიონ თაეიანთ წარმომადგენელად შავ კანიანი დეპუტატები, ანუ სენატორები, მაგრამ კი, ეგონებთ, რომ ჯერ ამ გვარი უფლებით სარგებლობის დრო არ არის. რადგან ჩრდილოეთის შტატების რაოდენთამე მცხოვრებლებში ცრუ აზრები ისეეა სუფევენ, ამის გამო უფუნურება იქნება, რომ არ ვიქონიოთ მხედველობაში იმათი (ცრუ აზრების მექონეთ) გრძნობანი. ზანგებს ეს ვარემოება ძალიან კარგათ ესმისთ. აქამდის ისინი დიდ თანამდებობაზედ არჩეიდნენ მხოლოდ თეთრებს, და უეჭველია, ახლაც ისეეე მოიქციეიან მირგინიაში.
სმარბიის რევენტობას სწადიან, როგორც ამბობს Patrie, შეადგინოს სერბიაში სახელმწიფო თათბირი, იმ გვარი, როგორიც ფრანცუზებსა აქეთ. ამის გამო, იმან (რევენტობამ) სთხოვა ფრანცუზის მმართველობას, რომ გამოუგზავნოს რამდენიმე ფრანცუზის აუდიტორები, რომელნიც მოხსენებული თათბირის შედგენის დროს ხელმძღვანელად უნდა იყვენ.“

ტ მ ლ მ გ რ ა მ მ მ ბ ი.
სეტემბერში მიღებული
გელგრადი, 5 (17) იელისს სულითის ფირმანი, რომელიც დამტკიცებულია თავადი

მილანის სერბიის ტახტზედ ამორჩევას, იმ ხასიათითვე იქნება შედგენილი, როგორც ხასიათისა იყო ფირმანი, მთავარი ძარღვე რუმინელის დამტკიცებაზე.

პრეფექტის თანაშემწე სმელროვოსი დაატუსაღეს.

რამდენიმე ცნობა საქართველოზე.

(თარგმანი პოსტანტინე მამაცაშვილის სტატიისა) („Кавказ“ 1863 г. 32.)

საქართველო დამწვრილდა მხოლოდ მაშინ, როდესაც შეერთდა რუსეთთან (1802 წელს); მაგრამ რამდენიმე საუკუნოს ბედკრულობა ვერ მორჩება რამდენიმე ათის წლობით.

ამ ოთხის ზებედურის საუკუნის განმავლობაში, რომელიც ომისა და ვაი-უშველებელის მეტს არას შეიცავდა, ქართველები თავს არ ანებებდნენ მეცნიერობას და მწერლობას. ამ დროს გამოცემულ რამდენიმე უცხო ნაშრომებში, უფრო თარგმანი ბერძნულიდან¹⁾ და ლათინურის ენიდან. ზოგიერთი უცხოელი კაცები სწავლობდნენ რომის პატრებისაგან ლათინურს ენას. იმ დროს შესანიშნავი განათლებით ქართველი იყვნენ: ძე მახტანგ მცხეთისა (შახნავისა) არჩილ, თეიმურაზი I. მახტანგი VI, ანტონი I (კათოლიკოსი), წარჩინებული მახუშტი (ძე მახტანგისა VI, ღვით, იოანე და თეიმურაზი ბიორგის²⁾ შეილები ბაგრატიონების სახლიდან, სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც მოგზაურობდა მეროპაში, სენია ჩხეიძე, შარსადანა მორგიჯანიძე, პაპუნა ორბელიანი, არხიპისკოპოზი იოსებ სამებელი (ჯავახიშვილებთანგან) თანამშრომელი მახტანგისა VI კანონების გამოცემაში და ქართულის წულთ-აღწერის შედგენაში, მიტროპოლიტი ტიმოთე, ომან ხერხულიძე, ღვით ბურამიშვილი, თუმანიშვილი, ბესარიონ შაბაშვილი. მომეტებულათ შესანიშნავი მათში არიან: საბა ორბელიანი, პატრიარქი ანტონი და მახუშტი. ანტონმა ბაგრატიონთაგანმა იცოდა კარგათ ბერძნული და ლათინური ენები, გადათარგმნა ქართულს ენაზედ სულ ყველა იმ დროის სამეცნიერო სასწავლებელი წიგნები; ამასთანავე დაწერა მარტირკა, სადაც აღწერილია მოქმედებანი, ბრძოლა და ტანჯვანი გამოჩენილის ქართველებისა, რომელიც დაიტანა თეიმანთის რუსულისა და მამული-სათვის. მახუშტიმ დაწერა ისტორია და გეოგრაფია საქართველოსი, ჩინებული კარტებით. საბა ორბელიანმა XVII საუკუნოში დაწერა მშენებლის ენით ზღაპარ-სიტყვაობა. ღა შეადგინა ფრად შესანიშნავი ქართული ლექსიკონი. შეუწყვეტელის ომებისა და არეულობისა გამო მომეტებული ნაწილი მწერლებისა ეკუთვნის სამღვდელთა³⁾, რადგანაც ესენი სხვებზედ უფრო მოცილინი იყვნენ.

მხლანდელს დროში ყველა შკოლები საქართველოს მხარეებში, რომელიც კი მთავრობისაგან არიან დაწესებული. საესეა მოსწავლეებით. სწავლის სურვილი ქართველებისა ისრე ძლიერია, რომ ადგილების უქონელობის გამო ტფილისის გიმნაზიაში, წარსულს წელს რამდენჯერმე იყო გამოცხადებული „მაკაჰში“ რომ მეტს ვეღარ მივიღებთ.

მინც აღზრდილა სახელმწიფოს ხარჯზედ, იმას არ გაეგება რამდენს შრომათ უღირს ღირსს. ქართველს მისცეს შვილი არა თუ

¹⁾ სხვა-და-სხვა თარგმანებთან გადმოთარგმნილია ილია და ქართულს. ენაზედ; მაგრამ არა სჩანს არც დრო და არც სახელი მთარგმნელისა; ამას გარდა დაკარგულია მრავალი ნაშრომები და სახელი მათი მახზველებისა, გაუწყვეტელის არეულობის და სტამბის უქონლობის გამო, რომელიც შემოიღეს მხოლოდ მეფრამეტე საუკუნეში.

²⁾ წარსულის საუკუნოს მწერლების მოქმედებებს ქართულს ლიტერატურაში არ ვახსენებ ამ სტატიაში.

მხოლოდ ლუბერნიის ქალაქის სასწავლებელში, არამედ უეზდის ქალაქშიაც კი: იმან უნდა მოახლოს სახლობა, სადაც დაბინაოს ყმაწვილი, აძლიოს სახლის ქირა, ტანისამოსისა, სარჩოსი და წიგნების ფული. რაც უნდა იაფი საზრდო იყოს, მაინც დაჯდება 150 მანეთამდე, და თუ რომ ორი შვილი ჰყავს გასაზრდელათ შკოლაში იმათი საზრდო უნდა დაუჯდეს 300 მანათი და სხე.

მართველები ფულზედ ძალიან სუსტათ ვახლავან. რა მიზეზით არის, ამის ახსნას აქ არ შეუძლები. თუმცა ფულით ძლიერ ღარიბნი არიან, მაგრამ ყმაწვილის აღზრდისათვის მაინც არა შურთ რა. შეეტეს ამთგანს შორის ადგილებიდან მოჰყავთ ყმაწვილები გასაზრდელათ ტფილისის და შუთისის გიმნაზიებში. ზოგი ერთნი ქართველთაგანი სწავლობდნენ უნივერსიტეტში თავის ხარჯზედ³⁾; უკეთ ესთქვათ თეიმანთის მშობლების უკანასკნელს გრომზედ; ამათორიებში არიან რამდენიმე გლეხკაცების შვილებიცა.

მართველები არას დაინანებენ თეიმანთის შვილების გასაზრდელათ; ხშირათ ამ საგნისათვის იღებენ ვალს, რომელიც ამათ აგლახაკებს. უმკაცროდ მდგომარეობა ჩვენის უეზდის სასწავლებლებისა ისრე გამოცხადებულია, რომ მართებლობამ, თითონვე აღიარა იმათი სისუსტე. ამ სასწავლებლებიდან ყმაწვილებს არა გამოაქვთრა, მაშასადამე ჩვენს ახალგაზრდებს აქეთ მხოლოდ ერთი საშუალება სწავლისა და ისიც ძალიან შესაზღვრულია ღონისძიებით ორს გიმნაზიებში: ტფილისისა და შუთისისა.

რამდენიმე ქართველი იზრდებიან სახელმწიფო ხარჯზედ სამხედრო სასწავლებლებში, სხვა და სხვა აკადემიებში, სამოქალაქო სჯულის სასწავლებლებში და სამეურნეო ინსტიტუტში.

მც და ათის წლის წინათ ჩვენ არა გვეყავნდა არც ერთი ქართველი უნივერსიტეტში აღზრდილი, ანუ სხვა უმაღლეს სასწავლებელში; ახლა იპოვნით ქართველებს, რომელთაც შეუსრულებიათ სწავლა უნივერსიტეტში სწავლის ხარისხებით და ზოგიერთს ამთგანს სრულიად ღირსეულადაც. ჩვენ სასწავლებლებს ამ დროს მხოლოდ ერთი ასპარეზი აქეთ მოქმედებს: ეს არის სახელმწიფო სამსახური; აქ თქვენ შეხედებით ქართველთ სჯულის მკოდნელებს, ექიმებს, პედაგოგებს, აგრონომებს, არტილერისტებს და ინჟინრებს სხვა და სხვა წოდებისას, რომელთაც შეუსრულებიათ უმაღლესი სასწავლებლები. სამღვდელთა უწყებაში შეხედებით მათ, რომელთაც განუვლიათ მთელი კურსი სემინარიისა და სასულიერო აკადემიისა კანდიდატის და მაღისტრის ხარისხებით და იმათ შუა ნახეთ მეცნიერებს და ნიჭიერებს. ამ გვარი წარმატება თვალს მაინც ვერ ამიბამს: მსეც ვიცი, რომ ჩვენ ჯერ მაინც ბევრი არა გვეყავს, არა თუ კურს დასრულებული უმაღლეს სასწავლებელში, არამედ გიმნაზიაშიც.

მართებლობის კეთილის მსურველობის შესასრულებელათ უნდა განზრდეს განათლება ხალხში; ეხლანდელი საშუალება განათლებისა ძალიან ცოტაა: ტფილისის ლუბერნი-ში არის ერთი გიმნაზია, *) გადაკეთებული საკეთილშობილო სასწავლებელიდან 1830 წელს, და ერთი სემინარია; უეზდის ქალაქებში არის თითო სკოლა და თითო სასულიერო სამის კლასის სასწავლებლები 500 ათასის მცხოვრებლებისათვის; მაგრამ შუთისის ლუბერნი-ში 400 ათასის მცხოვრებლებისათვის ერთი გიმნაზია (1850 წლის აქეთ), ერთი უეზდის ოთხის კლასის სასწავლებელი, ორი თუ სამი ორის კლასის სკოლა შკოლა და ერთი უეზდის სასულიერო სასწავლებელი, ისიც უსემინარიოთ. სამეგრელოში, ამას რომ ლენჩხუმის მხარა და სენაეთიც მივაკეროთ,

¹⁾ სიზორე რუსეთის უნივერსიტეტისა საქართველოზედ ბევრს უძნელებს თავის ხარჯზედ სწავლას.
²⁾ ახლა ორი გიმნაზია არის.

რომელნიც გადაცემულია მთავრისაგან სკოლა მართებლობისათვის და სამურძაყანოში კი 120 ათასს მცხოვრებლისათვის უეზდის სასწავლებელიც არ არის. სულყველა სასწავლებელში, რომელიც მართებლობისაგან არიან დაწესებული, სწავლობენ მხოლოდ უმაღლესის (шривилегированного) წოდებისანი, *) სამხედრო სასწავლებელს გარდა, რომელიც ეხლა ვახსნეს ტფილისში, სადაც მიიღება შვილი სულყველა წოდებისა. ზოგიერთს შკოლებულს გლეხებს, რადგანაც თეიმანთ სასწავლებლები არა აქეთ, თეიმანთი შვილები მიჰყავთ სასულიერო სასწავლებელში სემინარიაში, სადაც ადგილების უქონელობის გამო ყველა მსურველი ვერ შედის.

შკოლების დაწესების დროს მიხედვით, და მათ ღონისძიების დაგვარათ და რუსული ენისა და ამასთანავე ამავე ენაზედ სხვა და სხვა სამეცნიერო სწავლის სიძნელისა გამო, არ შეიძლება, რომ არ დაეხაროდეთ ახლანდელს დროში რიცხესა განათლებულთ ქართველთა. მდაბალს ხალხში, ნამეტნავათ ქალაქშია, წერა-კითხვა შესანიშნავათ განზრდებულია, თუ რომ მხედველობაში ექიანებთ მას, რომ მდაბალის ხალხისათვის დიდი ხანია არავითარი სასწავლებელი არა იპოვება რა.

მე შემხედვრია ცხოვრება სხვა და სხვა ქართველს სოფლებში და იქ მე ვპოვობდი სად 80 სად 60 და ზოგიერთს ადგილებში 50 მამა კაცზე ერთს წერა კითხვის მკოდნეს; ქალებს შუა კი უფრო ხშირად: 15 ქალიდან, სხვგან 10-დან ერთს წერა-კითხვის მკოდნეს. ჩემს ყოფნაში სამეგრელოში, სადაც არ არის არა ვითარი შკოლა, მე გამოკვირდა სოფლის დედაკაცების რიცხვი, რომლებმაც იცოდნენ წერა-კითხვა. შპირველესნი მასწავლებელნი სოფლებში არიან მღვდლები, გლეხკაცები და გლეხის ქალები. ძალაქის მცხოვრებელნი საქართველოში მკორე რიცხეს გარდა სულყველა მკოდნეა წერა-კითხვისა. ამ ოც-და-ათის წლის წინათ, შოულობდნენ მთარგმნელებს ქართველთაგან, რომ სკოდნოდა რუსული ენა; ახლა მომეტებული ნაწილი კეთილშობილი, სასულიერონი და ქალაქის მცხოვრებელნი ღაპარაკობდნენ და სწერდნენ რუსულათ და ზოგიერთმა იმათგანმა იცის რუსული ენა ქართულზედ უკეთესათ.

ძალების სასწავლებლები ჩვენ ცოტა გვაქვს: ერთი ინსტიტუტი (ტფილისში), სამი სასწავლებელი წმინდა ნინოსი (ტფილისში, შუთისში და ბაქოში **), და რამდენიმე კერძობითი სასწავლებელი. მართველს ქალებს ისეთი გულის-ყური აქეთ სწავლაში, რომ ზოგიერთი იმათგანი, მხოლოდ სოფელში ყოფნის, ქმრის მამისა ანუ ძმის შემწეობით სწავლობდნენ ქართულს ენაზედ პირველდაწყებითს მეცნიერობას და რამდენიმე იმათგანი შესანიშნავის ნიჭით მონაწილეობას იღებენ ქართულს ჟურნალში (ცისკარში ***) . თუმცა წერა-კითხვა (ქართული) დაბალს ხალხში საყოფათ არის განზრდებული, მაგრამ მართა წერა-კითხვა ხალხს წინ ვერ წასწევს, თუ რომ გავგებაც არ ვახსენებ და არც საზოგადო სასარგებლო ცნობები ექნება. მკონომიის მხრით ისრე საქირა ხალხის განათლება, რომ მართებლობა სრულის-გულ-წრფელობით შეუდგარუსეთში, სხვა ცეცილებათთან, სახალხო შკოლების დაფუძენასაც. ეს საქმე უნდა ვახსენებ სწავლებლების და ლიტერატურის მსჯელთა. შევლგან ეს აზრი განისჯება სხვა და სხვა მხრით, მაგრამ მაინც ყველანი ამ აზრისანი არიან, რომ ხალხისთვის შკოლების გაკეთება აუცილებელია. რადესაც ხალხში არ არის განათლება, მაშინ უმეტრება და სიღარიბე არის ბედი მდაბალი ხალხისა, რომელიც უპირველესი შემმატებელია ხალხისა. რა გვარი სასწავლებლები საქირა საქართველოსთვის ამის განსამართლებლათ სხვა საქმეებიც უნდა განიხილოს და იქონიოს კაცმა მხედველობაში. მართებობა თუ შემამტებნიებს, ამ საგანზე ჩემის მხრითაც ვიტყვი რასმე.

მლადისლავი მიკევიჩი და იმის მოძიება პარიში.

„პეტერბურგის ვედომოსტების“ კორესპოდენტი აი, რას იწერება პარიჟიდან: „პარიში ყოფნა თუ გინდა, შენი ჩვეულება და ხასიათი, მინამ იქა ხარ, უნდა დაივიწყო. პრეზენტური შეხედულება გამოგადგება ცხოვრებაზე: პარიჟი ძალა უნებურათ ყველას იმორჩილებს ამ შემთხვევაში: რა ცხოვრების წესიც იქ არის, იმას ვერაფერ გადასცდება. მეც საზოგადო ხასიათს და ჩვეულებას ვაყვები. პორესპოდენტი ამბობს, რომ პარიჟში ყოფნა იმ დროს შემგება, როცა ატსტრისა და პრუსისაშუა ომი ატყდა, მაგრამ მე საბოლიტიკო ამბები სრულებით არ მართობდა, რადგანაც პარიჟში ზოგიერთ სამეცნიერო საგნების განსახილველათ მივიღო და ამისთვის საიმპერატორო ბიბლიოთეკაში დავდიოდი. — „საზოგადო ჩვეულებისამებრ სადილი საღამოს ექვსს საათზე უნდა მიქამახოლმე და რადგან საიმპერატორო ბიბლიოთეკა შუადღის უკან 4-ს საათამდის არის კარ-გაღებული საიმუშაოთ, ამისთვის სადილობამდის ორი თავისუფალი საათი კიდევ მრჩებოდა. ამ დროს ვამდომებდი პარიჟისა და იმის მრავალგვარ მცხოვრებლების გაცნობასაო. თავიდანვე საზღვარგანდევნილ-პოლშველების ცხოვრების ვითარებამ მიიპყრა ჩემი ყურადღება. იმათ ხშირათ შეხედვრადი ხოლმე ერთს ყავახანაში, სადაც პოლშურისა და რუსულის გაზეთების კითხვაში ატარებდნენ დროსა. მე წაველმშენიერ პოლშველ ბიბლიოთეკის სანახავათ, რომელიც იმყოფება მდინარის სენის პირს განდევნილ-პოლშველებისაგან ნასყიდს სახლში; მე პოლშველების უსუფთავო სამზარეულოშიაც კი ვიყავ ორჯერ, თუ სამჯერ, სადაც ღარიბი ლათინის კვარტალში მცხოვრები პოლშველები შეექცივიან ხოლმე თავის ქვეყნის საქმელებსა. ლუქსემბურგის ბაღის მახლობლათ რომ პოლშური საკითხავია, იქაც კი ვიყავი. . . მაგრამ ამისთანა მგზავრობით პოლშველების ცხოვრებას კარგათ ვერ გავიცნობდი პარიჟში, თუ რომ შემთხვევით არ გამეცნო ორი მეტად გამოჩენილი კაცი პოლშის მეცნიერებისა და ლიტერატურისა პარიჟში მყოფთ განდევნილ პოლშველებთ შორის: ერთია სლოვენური ლიტერატურის პროფესორი მოლლევ-დ-შრანსში, ალექსანდრე ხოზკო; მეორე მლადისლავი მიკევიჩი უფროსი შეილი წარჩინებულესი პოეტის ადამ მიკევიჩისა.

მრთველ ხოზკოს ლექციაზე მივედი ყურდასავლებათ და ის მაშინ ვაეციანი. ის ათავებდა თავისს საკითხავ ლექციებსა კანიკულების წინათ და უნდოდა ვეთავებინა რუსული ლიტერატურის ამბავი მოკლე განხილვით. . . როცა ლექციის კითხვა ვათავეა ხოძკოსთან მივედი და ვუთხარი ჩემი ვინაობა. იმან მიქამამა ჩემი და ორიოდ სიტყვა დასძინა მამი ჩემის მეგობრობის შესახებ ადამ მიკევიჩთან: „მანსენებული ჩემი მეგობარი (ადამ მიკევიჩი), როცა მოსკოვში ყოფნას მოიგონებდა ხშირად ახსენებდა მამა თქვენსო.“ — მითხრა

^{*)} ეს ვაგილო დროებას ვკუთვნის.
^{**}) ამათ გარდა ახლა ტფილისში არის კიდევ ქალების სასწავლებელი.
^{***}) პრ შეიქლება, რომ არ მოვიხსენიო აგრეთვე ქართველი მესტიერნი; იმათ შუა ძალიან ბევრი იყო გამოჩენილი კაცი, რომელთაც დავგიტოვეს თეიმანთი ლექციები, მდიდარნი, როგორც ვნით, ისრე აზრით. შესანიშნავია ის რომ მომეტებული ნაწილი იმათგანი იყვნენ უსწავლელნი კაცი. საზოგადოთ აქამდის ცოტა შეკრებილი იმპროვიზაციები ქართულს ლიტერატურაში.

პროფესორმა ხოდკომ დიდის ალერსით მიმწევა თავის სახლში სანახავათ. როგორც კი თავისუფალი დრო ჩაეგდებოდა, ისე წავედი იმასთან და შინაც დამხვდა; რაღაც აღმოჩნდა ჩემთვის ხელნაწერს ჩხრეკდა. იმან რუსულად დამიწყო ლაპარაკი, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ხოდკოს სრულდებით არ სცოდნია რუსულ ენა, თუკი ოდესმე რუსის სახსტორში ყოფილა და მგონია, სპარსეთის შაჰის კარზე ელჩათაც ყოფილა. სლოვენური ლიტერატურა-კარგათ ვერა სცოდნია; რუსულს ლიტერატურას რაიკა შეეხება, თვითონ ხოდკოც ამბობს, რომ რუსულ ლიტერატურისა ბევრი არა გამეგებარა და დიდი ხანია იმისი ახალი არა მიკითხავს რაო. ბოლოს შევიტყვე, რომ ხოკო შემთხვევით გამხდარა სლოვენურ ლიტერატურის პროფესორათ. ეს ადგილი სპარსეთის ელჩის მუდარებით მიუტია იმისთვის მთავრობას. სპარსეთის ელჩი დიდს პატივს სცემს ხოდკოს, რადგან ამან სპარსული და არაბული ზედმიწევნით იცის.—მეტი საინტერესო იყო ჩემთვის ხოდკოს საუბარი ადამ მიტკევიჩის სახლობაზე და ან რამდენათ შეწყვიტა წარჩინებულის პოეტის სახლობას საზღვარს-განდევნილი პოეტები. პოეტის სიკვდილს შემდეგ საზღვარს-განდევნილი პოეტები შეპყრობეს და დაუნიშნეს ქალებს თითოთ. 30 ათასი ფრანკი და ვაჟებს-თითოთ 40 ათასი ფრანკი. სამს ვაჟში ერთი მალე მოკვდა და რადგან იმისი წილი ფული კიდევ არა მამ თანასწორათ გაიყო, ამისთვის ისინი კარგა შეძლებულნი გახდნენ. „შეფრთხი შეილი მლადისლაკი ახლა ლიტერატურაში და ჟურნალისტიკაში გართულია, აგრეთვე წიგნებით ვაჭრობაც კარგათ მიჰყავს. მეორე შეილია ეს არის მალალ სასწავლებელში კურსი შეასრულა და ადვოკატობას ემზადება.“

ხოდკოსთან რომ საუბარი გავათავე წავედი პოლშელს წიგნის სავაჭროში, რომელსაც ჰქვია „Libraire du Luxembourg“ ლუქსენბურგის საწიგნე. რაც იმ უკანასკნელს ჟამს პოლშის მდგომარეობის შესახებ წიგნები დაბეჭდილა პარიჟში და რაც პოლშური თხზულებები გადათარგმნილა ფრანცუზულათ, იმათი ძებნა და კითხვა დაიწყო. პრიკაშიც ისე ყოველი დიდის ალერსით მიჩვენა და დასძინა, რომ წიგნის სავაჭრო და საკითხავი თავიდანვე მლადისლაკმა მიტკევიჩმა დააფუძნა და აქამდის ეს იმის ხელშიაო. „თუ იმის ნახვა გსურთ, აი, თვითონ ისიცა“—მითხრა ენა მტეფრმა პრიკაშიც და თვალებით მიჩვენა ყმაწვილი კაცი, რომელიც იქითა ოთახში კარებთან რაღაც გაზეთს კითხულობდა. მივხედე და დავინახე შეფერვნიანი ახალ გაზდა კაცი ოცდა ათის წლისა, წვერი პატარა ჰქონდა და სახეზე ფერ მკრთალათ იყო. იმას პოლშელმა არ ეტყობოდა, ისევე სახიერს ებრავლს უფრო ჰგავდა. მე მიტკევიჩთან მივედი, ვუთხარი ჩემი ვინაობა და ისიც არ დამიწყოვბია. რომ ოდესმე მამანი ჩვენნი დიდი მეგობრები ყოფილან მოსკოვში.—„დახ, ის დრო კარგი დრო იყო, კარგი“ ამოხეხრით სთქვა მიტკევიჩმა და ხელი მეგობრულათ დამიჭირა— ჩვენ მოვეგონეთ ზამები და იმათ შესახებ დიდ ხანს ვილაპარაკეთ. ჩვენ საუბარს შემდეგ ისე დაუახლოვდით ერთმანეთს, რომ უფრო დაახლოვებით გაეცანით ერთმანეთი. მართლაც ამ პირველ ნახვის შემდეგ ხშირათ დავიდოდით ერთმანეთთან. შაკობის ქუჩისკენ გაიქცევირნებდი ხოლმე და კარგათ მომარჯვებულს მიტკევიჩის პატარა სადგომში ხანდახან ნაშუალამეამდის დავრჩებოდი. მიტკევიჩიც მოვიდოდა ხოლმე ჩემს პატარა ჩარდაყზე. ბევრჯელ გექონია საუბარი ერთმანეთში და ზოგი ერთი აზრები ცოცხლათ მაქვს დახსოვნილი; უმთავრეს საგნებზე მაასი მანც კარგათ მახსოვს და ამათში პოლშა ყოველთვის საგულეებელ საგნათ იყო. როგორც რომ მაასს ვამართავდით, ჩვენდა უნებურათ

მაშინვე პოლშაზე უნდა გადაესულიყავით. მლადისლაკი მიტკევიჩი ძალიან განათლებული კაცი გამოჩნდა და პოლშის ისტორიაში მეტნიერი იყო; ის ყოველთვის ძალიან დამაშვილებით და ჰქვიანად ლაპარაკობდა, მაასში არაოდეს არა ჩქარობდა, და ცდილობდა ძალიან მოსაზრებელი მაგალითები მოეყენა, რომ დავეძლიე. ის იყო ძველი პოლშის მომხრე, ძალიან აქებდა იმის დაწყობილებას, ამტკიცებდა, რომ პოლშას შეუძლიან დაკიდევაც უნდა აღსდგეს იმ სახით, როგორც წინათ ყოფილაო. მინამ პოლშის საქმე პოლშელების სასარგებლოთ და კარგათ არ გადაწყვედა, მეოპა ტყუილათ ნუ ელის მოსვენებასაო. ამასთანავე გამოჩნდა, რომ მლადისლაკი მიტკევიჩს სრულდებით არ სცოდნია რუსული ისტორია, ანუ თუ სცოდნია, მხოლოდ ნემნცურ, პოლშურ და ფრანცუზულ წყაროებიდან სცოდნია. ამ გვარი ცოდნის წყარობით მლადისლაკი მიტკევიჩი როცა რუსეთის ხალხის მდგომარეობაზე დაიწყებდა ლაპარაკს, ძალიან სცდებოდა ხოლმე ასე, რომ მე ვეტყვი: „თუ გნებავთ ჩვენზე ილაპარაკოთ, რუსული ისწავლეთ და რუსული წიგნები იკითხეთ. ის თანახმა იყო, რომ რუსულის სწავლა და რუსული სწავლული ლიტერატურის გაცნობა ძალიან ბევრს ძალას შეემქნოს და ბევრში შემოცვლის ჩემს აზრს; მაგრამ თავის აზრზე კი ისე იყო დამყარებული, რომ იმის გამოცემა სათუთა. ამ სახით მლადისლაკი მიტკევიჩი შრანციისა და მეროპის წინაშე წარმოდგარა და მსურველედ იცავს ძველს პოლშის დაწყობილებას. მლადისლაკი მიტკევიჩი მთელს თავის ღონეს შრომას ამას ანდომებს და არასფერს არ ზოგავს, რომ შრანციის თანაგრძნობა აღძრას პოლშისადმი და ამ მოკლე ჟამს ძალიან ბევრი გააკეთა. მითი რომ ის ბეჭდავს უმთავრეს თხზულებებს თავის მამისას ფრანცუზულს ენაზე, და მერე როგორ ბეჭდავს!—რა მშვენიერი ქალაქია, რა მხატვრობა და სილამაზეა შიგ წიგნებში გამოყვანილი! მლადისლაკს მიტკევიჩს ზედმიწევნით შეუტყვია ფრანცუზულ მკითხველების გემო: ისინი ამბობენ წიგნი თუ დაიბეჭდოს, შემკობილი უნდა დაიბეჭდოს და ამისთანა წიგნებთ გამოვიდა: „მონრად მალენროდი“, „ღრამატიკული ნაწყვეტები“ და „შივილა. მლადისლაკმა მიტკევიჩმა იხმარა ყოველი ღონისძიება, რომ რომელიმე გამოჩენილს პარიჟის ჟურნალს პოლშის მხარე სჭეროდა და ამ განზრახვით თვითონ ის შეიქმნა წარჩინებულ გაზეთის „Monde“ რედაქტორათ დაგამომცემლათ. დიდი ხანია არის, რაც ფრანცუზულს ენაზე გამოვიდა ძიელი პოლშის არსებობის ამბები რევეუსკისა. ეს ამბები კარგი სქელი წიგნია და მშვენიერ მხატვრობებით არის გავსებული. თითოეულს ამბავს დაუბეჭდა მ. მიტკევიჩმა ძალიან ერცელი შენიშვნები. რევეუსკის წიგნს შემდეგ დაბეჭდა „პრმან-მარკლის სტატიები პოლშის დასაცავათ დაწერილი“ მლადისლაკი მიტკევიჩის წინა სიტყვაობით და შენიშვნებით; „პოლშის მეგობრები“; ეს არის წიგნი სხვა და სხვა სტატიებით გავსებული; ამ წიგნში სხვათა შორის „ლაფეტის სიტყვაა პოლშის დასაცველათ წარმოთქმული. ეს კიდევ ცოტაა რაც მ. მიტკევიჩის გაუკეთებია თავის სამშობლოს საკეთილ-დღეოთ. (აქვე მ. მიტკევიჩის წინა სიტყვაობაა). და პრმან ლევის სტატიები „პოლშისადმი შრანციის მოვალეობა“. არც ერთს იმისთანა შემთხვევას არ გაუშვებს, რომ მ. მიტკევიჩმაც თავისი აზრი არ წარმოსთქვას პოლშის შესახებ. ის ყოველ შემთხვევით სარგებლობს, რომ ყველას გაახსენოს პოლშა და პოლშის საქმე. აი ამ გვართ წარმოსდგა მრავალი სტატიები, წერილები სხვა და სხვა პირებსა და საზოგადოებასთან. ამათში რომელიც უფრო შესანიშნავი არიან, იმათ დავასახელებ: „წერილი ბრათთან მონტალამბერთან პოლშის ადგო-

მაზე“ „წერილი შენევის კონგრესის პრეზიდენტთან“. აქ ძალიან ცოცხლათ ამტკიცებს მ. მიტკევიჩი, რომ მიუტკივებელი საქორება მოითხოვს მეროპის საზოგადო ომიანობას, რომ ამით განახლდეს ერთობ დაძველებული დაწყობილება მეროპისაო. მერ დავივიწყებთ მ. მიტკევიჩის წიგნს ბოგემის დეპუტატებთან ჩიგერთან და პალაკისთან. ის ამ წერილში ამტკიცებს, რომ ჩვენებს, პოლშელებს, სერბებს და რუსებს სიძარბე აქეთ, რომ ერთმანეთთან განკერძოვებულათ და თავისუფლათ იცხოვრონ ისე, როგორც მეროპაში ბერმანის ტომის ხალხები განკერძოვებულათ და თავისუფლათ ცხოვრობდნო“. ამ სიტყვებში სხანს არამც თუ მარტო მ. მიტკევიჩის საყვარული აზრი, არამედ მთელი განდევნილ პოლშელების კრების ხელსამძღვენლო აზრი და წადილი. საზღვარს განდევნილს პოლშელებს სწამთ, რომ ყოველივე შეუძლებელი საქმე პოლშის შესახებ შეიძლება, რომ მოხდესო და იმათი პოლიტიკური რწმუნება სრულდებით იხატება ყოველ იმ წიგნის სათაურზე, რომელსაც მ. მიტკევიჩი გამოსცემს ხოლმე. შოველ წიგნის წინა ფურცელზე რგოლია დახატული და შიგ პოლშის სამეფოა გამოხატული თავისის ძველის საზღვრებით. მვეით აწერია: დამოუკიდებლობა, ერთობა, თავისუფლება. (Indépendance, Unité, Liberté). ამ მიმართულებით მ. მიტკევიჩი ძალიან ბევრს ეწევა საზღვარს განდევნილს პოლშელებს. მართლაც ჩვენთვის ყველასთვის გასაკვირველია ეს დაუღალავი შრომა და მოქმედება, განსაკუთრებით როცა ჩვენს დაუღვენელობას და სიზარმაცით ცხოვრებას შევადარებთ იმასთან. ახლოს რომ გავიწვოთ მლად. მიტკევიჩისთანა მოქმედი პირები, რომეთაც არა ჰშურთ არც ფული, არც თავისი ღონე და სიცოცხლე, რომ შრანციას და მეროპას კარგი თვლით დაანახონ თავის სამშობლო და მოძმენი, უნებურათ გაუკვირდება კაცს, როგორ დაუღვერათ ვეუჭურებთ იმათ მტრულს მოქმედებას ჩვენ წინააღმდეგ და იმათ დაუღლეოს შრომას თავის აზრის დასაგვირგვინებლათო,—ამბობს რუსის გაზეთის კორესპოდენტი.

სხვა და სხვა ამბავი.

სტატისტიკური ცნობა ანგლიაზე. ანგლიის აღმ-მიცემობის სამინისტრომ ამ მოკლე ხანებში გამოსცა სტატისტიკური ცნობების კრებული, რომელიც ნათლად აჩვენებს ნიეთიერების მდგომარეობას ანგლიის ხალხისას. ამ კრებულიდან სხანს, რომ წარსულის წლის გასულს შეერთებულ საკაროლოებში ირიცხებოდა 30 მილიონი 157 ათასი 473 მცხოვრები, ესე იგი 211 ათასი 415 მცხოვრებით უქეტესი, ვიდრე უკანასკნელ სახალხო აღწერაზე გამოვიდა; ანგლიაში და შელის სამთავროში ორას ათას მცხოვრებზე მეტი მომატებია; საკუთრად შოტლანდიაში კი 30 ათასი მცხოვრები მომატებია. ირლანდიაში კი თან-და-თან აკლდებოდა ამ უკანასკნელს ჟამამდე მცხოვრებლების რიცხვი, ასე რომ ხუთი ათასზე მეტი მცხოვრები მოაკლდა 1867 წელს. მოსწავლენი 467,445 ყმაწვილიდან 1,147,463 ყმაწვილამდე გაზარდდნენ პირველ დაწყებით სკოლებში. ხორავი ანგლიაში გაძვირდა; მაგალითად 1863 წელს კვარტერ *სორბალში 53 შილინგს **) და 3 პენსს **) აღწევდნენ და 1867 წელს იმდენსავე ხორბალში აღწევდნენ 64 შილინგს და ხუთს პენსსა. მაგრამ მეორეს მხრით აღმ-მიცემობა უფრო გაძლიერდა. 1864 წელში

*) კვარტერში გამოძის ოცდა სამ ნახევარი ვერლო.
**) შილინგი ანგლიური ფულია ოცდობრმეტი კაპიკი.
***) პენსი ორ კაპიკ ნახევარია.

შემოიტანეს 97,184,726 გირანქა სტერლინგის საქონელი; ხოლო 1867 წელს 636,366 გირანქა სტერლინგის საქონელი შემოვიდა. 1854 წელს 18,636,366 გირანქა სტერლინგის საქონელი გაზიდეს გასასყიდათ. ეს რიცხვი ძალიან ნათლად ამტკიცებს ამ ქვეყანაში კეთილ-მდგომარეობის მომატებას.

ტიცტიც განიწერებთან 11 იელის: ბუშინ სალამოს ღამის 11-ს საათამდე ხალხს ქუჩებზე ძალიან ვი-ვაგოაბი ჰქონდა. ხალხმა მოგლიჯა იმ სახლს გერბი, საცა შაჰის კონსული იღდა და გაბრაზებით ყვიროდა: „პიოს IX სიკვდილი, ლმერთმან აღდგერძელოს ბარიზალი, ლმერთმან აღდგერძელოს ჰეოს იტალიაო!“ მონასტრის მიუხტა ხალხი და კაპუცინებმა ზარების რეკა დაიწყეს, რომ მთავრობისთვის შეეტყობინებინათ, რამდენიმე კაცი დაიჭირეს; ჯარი შეკრიბეს, მაგრამ ხალხზე არ გამოუყვანიათ; დღეს მყურდობაა.

ქონსტანტინოპოლიდან იწერებთან 11 იელის, რომ ნაპოლეონ-პრინცი ათონის მთის სანახავათ წაეიდაო და იქიდან საბერძნეთში წაეაო. მეგობრის ვიცეკარლის შეილიმა განსვენებულის სულთანის აბდულმეჯიდის ქალი შეერთო.

ანგლიაში გლახაკთ რიცხვი. ბაზეთი „თამისი“ ძალიან სწუხს, რომ ანგლიაში და შელის სამთავროში გლახები ძალიან მრავლდებიან და ამასთანავე გლახაკებისთვის გადასახადიც მატულობს. 1861 წელს 20 მილიონ, 66 ათას 224 მცხოვრებზე—883 ათასი 927 გლახაკი იყო. 125 ათასი 866 გლახაკი საგლახაკობში იდგნენ სარჩენათ, დანარჩენი კი მათხოვრობით რჩებოდა. ხარჯი ღარიბების შესწევრათ და სარჩენათ 5 მილიონი 778 ათასი 943 გირანქა სტერლინგამდი აღიოდა. 1867 წელს 21 მილიონს, 29 ათასს, 508 მცხოვრებზე—931, 546 გლახაკი ირიცხებოდა. იმათ სარჩენათ და შესწევრათ 6 მილიონი 959 ათასი 840 გირანქა სტერლინგი იხარჯებოდა. ლონდონში ღარიბები თან-და-თან მრავლდებიან, იმიტომ რომ სოფლებიდან გლახაკები სულ ლონდონის ქალაქში იკრიბებიან. „თამისი“ ამბობს მხოლოდ ერთი საშუალებაა, რომ მაზრებიდან გლახაკების მოდენა შესწყდესო; ლონდონის ღარიბებს უნდა შეუმკორდესთ სარჩოვო, რომ მაზრებიდან აღარ ისურვონ ქალაქში თავის მოყრა.

რუსეთის ამბავი.

შაჰანის ქალაქში ილმინსკისგან გამართული თათრის შკოლა. შაჰანის გუბერნიაში ცხოვრობს ოთხას ორმოცი ათასი თათარი და იმათში ორმოცი ათასი კაცი თუ არის მონათლული, მეტი არა. ბევრი იმათგანი ხელ-მეორეთ გადუღდებიან ხოლმე ქრისტიანობას და ისევე მანძილანდებიან. ამის მიზეზი ის არის, რომ მონათლულებმა არ იციან რა ქრისტიანობისა და არ ესმისთ თავის ქრისტიანობრივი მოვალეობა. შრისტიანები ჰქვიანთ, თორემ სხვაფერი მანძილანებისგან არ განიჩივიან. შე. ილმინსკიმ იკისრა იმათი აღზრდა ქრისტიანულს წესზე, რომ ამით დაამკვიდროს იმათში ქრისტიანობა. შე. ილმინსკი ამ დიდ ღვაწლისთვის ძალიან კარგათ არის გამოხადებული. იმან შეასრულა სწავლა შაჰანის სასულიერო აკადემიაში, ცოტა ხნობით მასწავლებლათაც იყო იქა; რამოდენსამე ხანს უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ნებს სწავლობდა და ბოლოს ოსმალეთის მისირი, პალესტინა და მეგობტე მოიარა. ახლა ის შაჰანის სასულიერო აკადემიაში მოძღვრობს და უნივერსიტეტში ასწავლის თათრულს და ოსმალურს... ილმინსკის შკოლაში როცა ჰსურთ, მაშინ შედიან ყმაწვილები სასწავლებლათ, დედ-მამის ნებაყოფლობით და როცა უნდათ, მაშინ წაეღენ

შეკლიდგან, წლოვანებაში არ არის გარჩევა. რა წლისაც უნდა იყოს, ყველას იღებენ. შეკოლაში უფასოთ ასწავლიან. შეკოლა არჩენს მხოლოდ ღარიბებს და ობლებს, სხვები კი თავის ხარჯზე არიან. მასწავლებელათ მონათლული თათარი ბასილ ტიმოტეს ძეა, საქები და პატივსაცემი კაცი. მეთონ იქვე შეკოლაში ბინადრობს. სულით და გულით მონადრემებულია ეს კაცი თავის საქმეზე. ილმინსკის სიტყვით საქრისტიანო წიგნები თავის კარგის დარიგებით სამშობლო ენაზე დაწერილი ძალიან მოსწონთ ყმაწვილებს. მანსაკუთრებით ქრისტიანული ლოცვების გალობა თათრულ ენაზე უღვიძებს გონებას ყმაწვილებს. ამის გამო მონათლულს თათრებს მოსწონთ ამ შეკოლაში სწავლა და ამით თვითონ შეკოლასაც ეძლევა მტკიცე საფუძველი.

წინათ ძალიან ცოტა მოსწავლენი იყვნენ ამ სასწავლებელში, შემდეგ თან-და-თან ემატებოდა და ახლა იქას შეიძლება ყმაწვილო სწავლობს. იმათში ოთხმოცდა ხუთმეტი ვაჟია და თორმეტი ქალი. ამ შეკოლის მიხედვით მთელს გუბერნიასში ახლა თორმეტი ამისთანა შეკოლა გაიმართა. მთავრობამ და საზოგადო კეთილ მოქმედებამ უყურადღებოთ არ დაადგო ეს სასწავლებელი. სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ მისცა ორასი მანეთი შესაწყენელათ. სინოდის ფულიდგან წელიწადში ათასათასი მანეთი ეძლევა. შაჰანის წმინდა ზურის ძმობამ ღარიბ ქალების გასაზრდელათ დაუნიშნა ამ შეკოლას ხუთას-ხუთასი მანეთი წელიწადში. ძალაქმა ალაგი მისცა და ეპარქმა სტეფანე არეფევმა თავის ხარჯით სახლი აუშენა, საცა ეხლა ეს შეკოლა იმყოფება. ღირსი მთავარმა ამ წელს გზათ გაიარა შაჰანში, ნახა ეს შეკოლა და ას ორმოცდა ათი მანეთი მისცა შესაწყენელათ.

ზღვის ტობის (თევზია) ქვირი-თიღგან ხიზილალის კეთება ასტრახანში. ასტრახანის წყლებში ყოველ წლებით ოცდა ათი მილიონი ტობი იჭირება და ზოგჯერ ამაზე მეტიც. ამ თევზის დასამარილებლათ ქვირითა უნდა ამოელთ და ამ აუარებელ ქვირითისთვის არ იცოდნენ, რა უნდა ექმნათ. თევზების შიგნელებს ჰყრიდნენ თევზის საშხადებელ შენობების გარეშე; იქ ეს შიგნეული ირღვეოდა და ჰაერს ახდენდა საოცრათ. მაქარმა საგროვმა ორკეცათ დაავალა ეს მხარე: ერთით რომ ჰაერი განსწმინდა სიმყარლისაგან და მეორეთ, ისეთი მოხელეობა გამართა, რომ მალე მრთელს მხარეს კეთილდღეობას შემატებს. ათას რეას ოცდა რვა წელს ამ საგროვის მამამ შენიშნა, რომ ზღვის ტობის ხიზილალა მოსწონდა კოსტანტინოპოლელებს და დაიწყო იმის კეთება ჯერ შავი ზღვის პირზე; მერე შეამცნია, რომ ასტრახნელ ტობის ხიზილალა უფრო ღირსანს სძლებდა და უკეთესიც გამოდიოდა; მაგრამ რადგან ფული ცოტა ჰქონდა და იმის დროს კარგი ხიზილალაც ვერ კეთდებოდა, ამისთვის მოგება არა ჰქონიარა. იმისი შეილი რომ ხედავდა მამის მოხელეობის უნაყოფობას და თავი დაენებებინა, რასაკვირველია, ახლა ეს ნაყოფიერი ხელობა იქნება სრულებითაც გამქრალიყო, მაგრამ არა. იმან ხელი არ შეუშვა ამ საქმეს. იმისმა სიმხნემ და საქმიანობამ დაუღვერობამ მტკიცეთ დააფუძნა ეს სასარგებლო ხელობა ამ ქვეყანაში. მკი წლის წინათ რომ საგროვი პირვლათ მივიდა ასტრახანში, ექვსასი თუმნის მეტი არ მიყოლია. იმ დროს ტობის ქვირითს ფასიარ ედვა. მითო სათევზაოს ას-ასი მანეთი დაუნიშნა, რომ შეენახათ ხოლმე იმისთვის თევზის ქვირითი. ამ სახით საგროვი თან-და-თან უფრო და უფრო ბევრს ამზადებდა და ჰყიდდა ზღვის ტობის ხიზილალას.

ზომიერათ რომ ვიანგარიშოთ, ოცი წლის

განმავლობაში საგროვს ერთი მილიონი ფული ხიზილალა გაუგზავნია საზღვარს. გარეთ და ზედ ორი მილიონი მეტი დაუხარჯავს. საგროვი ჰგზავნის ტობის ხიზილალას დუნაის მდინარეზე, კოსტანტინოპოლს, ათინაში და მისირში. ამ ქამათ იმის მაგალითს სხვებიც მიჰყვნენ.

ბ ი რ გ ე მ ი უ ნ გ ი ს ქ ა დ ა გ ე ბ ა .

აქ მოგვეყვას „შეერთებული შტატების მოაზრებამ“ ქადაგება, თქმული მორმონის ტაძარში 8 აპრილს ბირგემ იუნგისაგან. ეს ქადაგება ძალიან კარგათ ხატავს იქაურ საქმის მდგომარეობას,

„მე უნდა მივსცე დარიგება საქორწინდ მონადრემულით ახალ ხალხთა ისრაილისათა და ამიტომ ეტუნები მათ: ყველა მათგანე დაქორწინდეს იმ ერთ-ერთ ჩვენ დაზედ, რომელიც თითონ ამოურჩევია, ყველამ შეიძუ შაოს მიწა, გააშენოს ეკლესიები და ბოსტნები და დარგოს ბლომათ თუთის ხეები. ეს არის ჩემი რჩევა ისრაელის ახალ ხალხთადმი. თქვენც დანო, ამის გიორჩევთ: თუ თქვენგანე ვინემ არ იცის ძროხის მოწველა, ისწავლოს ეს ხელობა. რომელმაც არ იცის ფრინველების მოვლა აგრეთვე ეს ხელობაც უთუოდ გაიკეთოს, და როდესაც თქვენი ქმის მეურნეობას და სახლის პატრონობას ჩაიდებთ ხელში, ეცადეთ, რომ თქვენი ქმის ოჯახობა გაამშენიეროთ თქვენის ყაირათით, რიგის მიცემით და სისუფთავით. სახლის გარშემო ყველილები დარგეთ და ქრმებსაც ჩაგანეთ, რომ იმათც დარგონ ისეთი ხეები, რომლებიც ჩრდილსა და ნაყოფს მოგიტანთ. თუ ცოლები შეეწყვიან თავიანთ ქრმებსა, თუ ისინი იზრუნენ, რომ სახლის შემოსავლის მიგმატოს და ამასთან ყაირათსაც გასწევენ, მაშინ სიმდიდრე თავის თავად ეწვევა იმათ. აბა წარმოიდგინეთ თუ რა გვარ კმაყოფილებას იგრძნობთ მაშინ, როდესაც დარწმუნებული იქმნებით, რომ ყველა რასაცა ჰვლობთ, სულ თქვენი შრომის და ყაირათის ნაყოფი არის. თქვენ ქრმებსა სთხოვეთ ჩალა და იმისგან დაიწანთ თქვენთვის ქულები, რომ მცხარე მზის სხეებმა არ გაენოსთ. მე ძალიან მსურს სიცოცხლე, რომ ენახო ამ ხალხის კეთილ დღეობა და რა უფრო სასურველია ჩემთვის ეგება იმ დღესაც მოვესწო, როდესაც ჩვენი დები თვითონ დაიწყებენ რიგინად შეილების აღრდასა და განათლებას. ღლით რომ აღდგენ ლოგინდამ თქვენი შეილები, ნუ გაუშვებთ რომ გარეთ ცივი წყლითა და მტლაქი საპნით პირი დაიბანონ და პირსაც მსხვილი ტილოთი ნუ შეაწმინდინებთ, თორემ მსხვილი ტილოპირის კანს ხეხავს და ახდენს; აიღეთ რბილი რამე თივთიკის ნაჭერი, ნელა გადაუსვით პირზე და შემდეგ წმინდა პირსახოკით შესწმინდეთ ხოლმე. მუდამ გოქის ხორცის მაგიერად ახალი რძე და კარგი პურის ნაჭერი მიეცით ხოლმე საუზმედ, აგრეთვე რამდენიმე შემწვარი კარტოფილი კარაქით, თუ რომ ყმაწვილს ხილი უყვარს, ისიც აჭამეთ ცოტა, აგრეთვე ბრინჯეული საქმელიც აჭამეთ ხოლმე. ბრინჯეული ყმაწვილებითვის ძალიან მარგებელია, და ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნება, რომ ყველა ძმებთაგანმა მოიყვანოს თავის მიწლორში ეს მცენარე. ჩვენი ნიადაგი ძრიელ კარგია ბრინჯის მოსაყვანად. თუ ბრინჯის მოყვანას მიჰყოფთ ხელს; მაშინ თქვენ შობილევებთ სიმ

(*) შეერთებული შტატები — ქვეყანაა ამერიკაში. — ამერიკა — მთელი ხმელეთის მეზუთე ნაწილსა ჰქვიათ, რომელშიაც რამდენიმე სახელმწიფო და შემგებია. (სხვათა შორის — შეერთებული შტატებიც).

დიდრეს და დამოუკიდებლობას. იმაზედაც იზრუნეთ, რომ თქვენი შეილები მოსაწონები და ლამაზები იყვნენ, მზუხედ ნუ ატარებთ, რომ არ გაიტრუსონ და აქაურ მთების ბუნებით მცხოვრებებს (ხანგებზედ ამბობს, მდაბიურად რომ არაბებს ევქსით ჩვენში) არ დემსგავსენ. ჩვენმა დებმა კი თვითონ იზრუნონ თავიანთ თავზე და თავიანთ სილამაზზედ. ყმაწვილებს ცხერების მოსაყენებლად ნუ გაგზავნიან, რადგან მზუხედ იტრუსებიან და ჯოჯოხეთის მაშხალას დაემსგავსებიან ხოლმე. აბრეშუმის კეთებას მიჰყავით ხელი. ჩვენი ნიადაგი ძალიან კარგია თუთის ხეებისთვის, რომლების ფურცლებიც აბრეშუმის ქვის საქმელად იხმარება. მთელ ხმელეთზედ არც ერთ მხარეში არ არის ასეთი მარგებელი ნიადაგი და ჰაერი ამ ხელობისთვის, როგორც ჩვენში. თუ ვინცობაა როგორმე დაიწყებთ ამ ხელობას, თქვენ შეიძინებთ სიმდიდრეს და დამოუკიდებლობას (თავისუფლებას). შევლამ უნდა გადასდოს აბრეშუმის გასაკეთებლად, რამდენიმე თავის მიწის ნაჭერი, უსაქმო ყმაწვილებს და შეუძლო მოხუცებულებს მიანდოს ფურცლის მოკრეფა და ქიების კება. ეს არც დამალავია და ამასთანავე სასიამოვნო შრომაც არის. აბრეშუმის გაყიდვა, რომლის გულისთივიც (საეპრო ადგილი უნდა გააკეთოთ). ყველა საქიროებაში უხვად დასაჩუქრებს აქაურებს; და თუ ეს უძიერფასისი საშუალება (წყარო) არ ჰქონდეთ, მაშინ ძალიან სიღარიბეს გამოცდიდენ ესენი. ძარგათ რომ მოუაროთ აბრეშუმის გამოსატანლად 30-40 დღე მეტი არ მოუნდება. თუ რომ მე ვერ დავარწმუნებ ჩვენ დებს და ძმებს, რომ აბრეშუმის მოყვანას ხელი მიჰყონ, მე იძულებული ვიქმნები მოუწოდო ჩინელები (კიტალები) და ჩავაბრო ეს ხელობა. წადით და იზრუნეთ თუთის ხეების და აბრეშუმის ქვის მოვლაზედ. თუ თქვენგანს ვისმე არ უნდა ეს ხელობა, იმან მოაზხალოს ჩალის ქულები, სწნას გოდრები და სხე.

მაფიცებთ შრისტეს, თავი დაანებეთ ოქროს ძებნას, და ღმერთსა ეთხოვე, რომ ოქრო აღარ აღმოჩნდეს ამ მხარეში. ოქროს ძებნის მაგიერად დათესეთ ხორბალი, ქერი, სიმინდი და ნიადაგს გამოალბინეთ ყველა გვარი მცენარეული სიმდიდრე. ჯოგი გაიჩინეთ და გამარაგლეთ, შეიძინეთ მათგან კარგი თვისების მატყლი ბლომად. სოდნა და ძალა ნამდვილი სიმდიდრეა. თუ ჩვენ საქმეს ისრე წაიყვანთ, როგორც რიგია, მაშინ ის მოგეიტანს ჩვენ ყველას უხვად, რაც კი საქიროა საქმლისთვის, სამოსისთვის, კარგ ცხოვრებისთვის და თითქმის სიმშენიერესათვისაც კი. მე ძალიანა მსურს, რომ ჩვენში მოდათ შემოვიდეს ჩალის ქულები განიერი ნაპირებით, რადგანაც შესაშენიც და სიმრთელისათვისაც სასარგებლო არის. შევლავედ უმეტესად ხალხის სიმრთელე და კეთილ დღეობა არის ჩვენთვის სასურველი. მცადეთ, რომ თქვენ მეურნეობაში არ გამოილიოს ქათმები, ხბოები და წიწილები, რომ მუდამ გოქის ხორცის ხმარების მაგიერად, ისინი იხმაროთ საზრდოდ. შეპკრებთ წიგნებდამ ყველა გვარი სასარგებლო ცნობა თევზების შესახებ, რომლებიც ადვილი მოსანელებელია, ისწავლეთ თევზების ქერა და მოაზხადეთ სუფრისთვის თავის კარტოფილით, ქარხლით და მწვანე-ლით. თუ თქვენ კარგი თევზის მკერაეები გახდებით, მაშინ გაიგებთ, რომ თევზი სხვა ყველა საქმელებზედ ოთხ წილად იაფად და გოჯადებათ. შევლა ეს რჩევა შეგებებთ თქვენ, საქმოდ მოაზხადებულნო ახალ-გაზრდა ქალებო. უთხარით ახალ-გაზრდა ყმაწვილ კაცებს, რომ თქვენ იმათგან არ მოითხოვთ თქვენი თავის შენახვას და რომ ყველა საქმეში თანა შემწე გაუხდებით მათ. დარწმუ-

ნეთ ისინი, რომ თქვენ მათგან დაქორწინების მეტი არა ვინდათო. ახალ-გაზრდა ყმაწვილების, ეცადეთ ახალ-გაზრდა ყმაწვილების საზოგადოებაში დაესწროთ ხოლმე, და განდით მათგან მოსაწონი და შესაყვარი. აცნობეთ, რაც შეგეძლოთ, რომ თქვენ სრული ნება გაქეთ მასზედ, რასაც მათგან ელით, რომ თქვენ გასურთ გახდეთ დედებათ ისრავლთ შორის.

თარგმნილი სათარგმნელად.

ს ო ფ ე ლ ი .

სოფელი არს თეატრონი. — ძაქნი მოათამაშენნი. — შემთხვევა შექმნის საგანთა თამაშობისათა. — ბედი ურთებს კაცად — კაცად მოქმედებას. — შეგუნურთა მიმოაქეთ სალაფარდები. — ზონიერნი უმზერენ. — მდიდართათვის საფარდენი განმზადებულ არიან. — პატივისა ღირსნი ფეხთ — ჰსდგანან. — ხალხი ჰშობობს ჩამოსაჯდომს. — ძალნი მიმოპრიგობენ სიტკბოებათა. — ცბიერნი ჰსხედან იქ, სადაცა ფული მიაქეთ. — ჭატევებულნი ბედისაგან ჟღერენ სანთლებს. — სულელობანი ხოროს განაწყობენ, და დრო აღჰხდის ფარდას.

ამა თამაშს ეწოდების:

„საუკუნოდ იგივე.“ —

ამა თამაშშიდ ურეიან: ახოვანი და ჯუჯანი, გმირნი და ძაბუნნი, უფალნი და მსახურნი, აშვიქნი მორაზ-ბედისნი და თავ-ქარ-გიქნი მახინჯი-კოქლინიც.

მსე ყოველნი თავ-თავის დროს თამაშობენ ერთი შემდეგ მეორისა და დასასრულ თეთოთეული ჩასდგება თავის ადგილს.

ბრძენი, რომელსაც არა ჰსურს ტყვილად დაპკარგოს რა ფასით ნასყიდი შესვლის უფლება, მიიფარება ყურეშიდ, საიდამაც უფრო ცხადად ჰხედავს თამაშობას და ჰსწონის თეთოთეულის ღირსებას. —

თ. ირაკ. ლორთ — ძე.

სახანინო განცხადება.

ამ წლის ოცდა ექვსს აგვისტოს (მარიაშობისთვის) მელაის უფლის სამმართველომ დანიშნა გასყიდვა საზოგადო შევაჭრებით უძრავის ქონებისა, რომელიც ეკუთვნის მელაის მცხოვრებს ბაღდასარ ადამს მამულდს. ეს ქონება იმყოფება მელაში და არადა რა არის: ერთი ხის სახლი და ორმოც მანეთად დაფასებული მიწა, რაზედაც თვითონ სახლი დგას. მისაყსურს ამ მამულის ყიდვა, ის უნდა გამოცხადდეს დანიშნულს დღეს მელაის უფლის სამმართველოში, საც ნახვენ ფასზე შედგენილს სიას და ყველა ქალაქებს რომელნიც ამ მამულის გაყიდვას შეეებან.

— მელაის უფლის სასამარ თლომ გადასწყვიტა ამ წლის ათს მარიაშობისთვის გაყიდვა ვენახისა, რომელიც მდებარებს მელაში და ეკუთვნის მელაის მცხოვრებს ირაკლი ნადირდს. მისაც ამ მამულის ყიდვა უნდა, ის უნდა გამოცხადდეს უფლის სამმართველოში დანიშნულს დღეს, საც ნახვენ ამ მამულის გაყიდვის შესახებ ქალაქებს.

თვლის ის უფლის სამმართველომ გადასწყვიტა გასყიდვა მამულისა, რომელიც ეკუთვნის ძმებს მიხაილს, დავითს და იოსებს სვიმონის ძეთა ხიშთაშვილებს. ეს მამული მდებარებს თვლისის პირველი კვარტალის პირველ ნაწილში. მამულია ერთი აფურის შენობა დუქანი სარდაფიან და მიწიანი, რომელიც სიგძით ოთხი საყენია და სიგანით ხუთი არზინი და ათი ვერშოკი. ეს მამული ორმოცდა რვა თუმნათ არის დაფასელი. ამ მამულის გაყიდვის ვადა მომავალს სამსექტემბერს უნდა იყოს. მისაც ამ მამულის ყიდვა სურს, დანიშნულს დროზე უნდა გამოცხადდეს უფლის სამმართველოში, საც ნახვენ ამ ქონების საეჭრო სიას და იმის შესახებ სხვა ქალაქებსაც.